ინგა ლორთქიფანიძე
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების
ისტორიის ინსტიტუტი

ბატონი გიორგი – როგორც მახსოვს

წელს ბატონი გიორგი ჩუბინაშვილის დაბადებიდან 120 წელი სრულდება. გაზაფხულზე გადაწყდა, რომ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი სამეცნიერო სესიას მიუძღვნის მის დამაარსებელს, ჩვენს მასწავლებელს, და ამ სესიისთვის სავარაუდო მოხსენების თემის შესახებ ფიქრისას წარმოვიდგინე, რომ სულ უფრო ცოტა ადამიანი რჩება ამ ქვეყნად, ვისაც პირადი ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ვისაც გათავისებული ჰქონდა მისი ხატი, არადა, უკვე იმ დროის გადასახედიდან, რაც ბატონი გიორგი აღარაა (1973 წლის დამდეგს მიიცვალა), თუნდაც მის სიცოცხლეშივე, ნათელი იყო არამარტო მისი როგორც მეცნიერის მნიშვნელოვანება, არამედ ცხადად გამოიკვეთა მისი პიროვნების უნიკალობაც. და დღეს ნათელია, რომ ვისაც ბატონ გიორგისთან პირადი ურთიერთობა ჰქონდა, უფრო მეტი, ვისაც წილად ხვდა (არცთუ ბევრს), მისი მოწაფე ყოფილიყო – ჭეშმარიტად ბედნიერად უნდა ჩათვალოს თავი.

მოკრძალებით მინდა ვთქვა, რომ ასეთ ადამიანთა რიცხვს, ჩემს კოლეგებთან ერთად, მეც მივეკუთვნები. და ვინაიდან დღეს, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ადამიანურ ურთიერთობათა დიდი დეფიციტია, ვინაიდან მინავლებულია მარადიული იდეალები, ის ორიენტირები, რომლებიც საზოგადოებას უკეთესისკენ უკვლევენ გზას (ესეც სხვადასხვა მიზეზთა გამო), განვიზრახე ახალგაზრდა კოლეგებისათვის, საზოგადოებისათვის ცოტა რამ მომეთხრო ჩვენს მოძღვარზე, რომელიც მის მოწაფეებს დღემდე ცოცხლად გვახსოვს.

უნდა გამოვტყდე, რომ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს (1957 წელია) საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შესახებ. ჩემი ცხოვრების მომავალი გზის არჩევანს ვუმადლი ბატონ ოთარ ჯაფარიძეს, მაშინ უნივერსიტეტის ახალგაზრდა ლექტორს (იგი ჩემ ბიძაშვილს ანტონ წულუკიძეს მეგობრობდა), რომელმაც იცოდა, რომ მე ხელოვნების ისტორია მაინტერესებდა (ესეც ხმამაღლა ნათქვამია იმ დროისთვის). მან ერთ მშვენიერ, როგორც შემდგომში დავრწმუნდი – ჩემთვის ბედნიერ დღეს მითხრა: თუ შენ მართლა გინდა ხელოვნების ისტორიის დარგში იმუშაო, მე წაგიყვან ინსტიტუტში, სადაც ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდებიო; დაახლოებით ასე ჟღერდა მისი ნათქვამი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ერთად წავედით ინსტიტუტში, რომელიც მე მანამდე არც კი ვიცოდი, სად მდებარეობდა. საკუთარ თავზე მეტად უნივერსიტეტში სწავლის იმდროინდელ პროცესს უნდა უმადლოდეს ჩემი თაობის ბევრი წევრი ამგვარ და სხვა ლაკუნებს ჩვენს განათლებაში. ყველა შეიძლება არ დამეთანხმოს, მაგრამ ჩემი შთაბეჭდილება ასეთია. იყო გარკვეული გამონაკლისებიც და ამის შედეგია სწორედ ის, რომ მე ჩემი ახალგაზრდა ლექტორის წყალობით მოვხვდი ამ ინსტიტუტში.

მაშინ ინსტიტუტი სახელმწიფო მუზეუმის შენობაში იყო განთავსებული; რამდენიმე ოთახი გვეჭირა. შესასვლელი ლ. კეცხოველის (დღევანდელი ლადო გუდიაშვილის) ქუჩის მხრიდან იყო. კეცხოველის 10 – გახლდათ ჩემი სამსახურის მისამართი მრავალი წლის განმავლობაში. მე შემიყვარდა შენობა – ჩვენი ოთახები, მუზეუმის ფოიე, ნახევრადბნელი დერეფნები; ფართო, ძველი კიბეები მოხერხებული საფეხურებით. კიბეებზე როცა ავდიოდი, საკუთარი სხეულის სიმძიმეს თითქმის ვერც გრძნობდი (იქნებ ასაკის გამოც?). დღემდე თვალწინ მიდგას ის ეზო, ახალმოსულს

რომ დამხვდა. მერე გავერკვიე, რამდენი დაწესებულება იყო ამ შენობაში: საკუთრივ მუზეუმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, არქეოლოგები, გეოლოგები, ნუმიზმატები, ჩვენ ... რამდენი მეგობარი შევიძინეთ!

ჩემის აზრით, ის წლები იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხანა; შემდეგში ვითომ გავფართოვდით, მივიღეთ ცალკე შენობა ჯერ სანაპიროზე, მერე – თითქმის შოთა რუსთაველის პროსპექტზე. მაგრამ თითქოსდა ეს უკეთესისკენ სვლა საბოლოოდ ჩვენი ინსტიტუტის შენობის ხანძრისგან დაწვით დამთავრდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, სამოქალაქო ომის დროს. საბედნიეროდ, არც ბატონი გიორგი, და არც ბევრი სხვა მისი მოწაფე და თანამოაზრე მოსწრებია ამ კატასტროფას, მაგრამ მის ერთგულ მოწაფეს და მის მომდევნოდ ინსტიტუტის დირექტორს ვახტანგ ბერიძეს კი ამ ამბავმაც მოუსწრაფა სიცოცხლე.

ოღონდ 1957 წლის შემოდგომაზე მე წარმოდგენაც ვერ მექნებოდა იმ კატაკლიზმების შესახებ, რაც მე და ჩემს კოლეგებს თუ მეგობრებს შეიძლებოდა დაგვტყდომოდა თავს. მივყვებოდი გვერდით ოთარ ჯაფარიძეს, ვიყავი ბედნიერი და ვიყავი გამსჭვალული რაღაც კარგის მოლოდინით. ბატონმა ოთარმა ვახტანგ ბერიძესთან მიმიყვანა, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან, ყურადღება მივაქციე, რომ ბატონი ვახტანგი ცალკე კაბინეტში კი არ გვიღებდა, არამედ დიდ ოთახში სხვა თანამშრომლებთან ერთად იჯდა (მერე მივხვდი, რაში იყო საქმე). ბატონი ვახტანგი უკვე ნანახი მყავდა. ქუთაისიდან მახსოვდა მისი საჯარო გამოსვლები, დედას რომ დავყავდი ხოლმე მოსასმენად სკოლის მოსწავლე. პირისპირ ნახვისას მომხიბლა მისმა იერმა, მანერებმა, საუბრის სტილმა. გამომკითხა – ვინ ვიყავი, რომელი ოჯახიდან (შემდგომში დავრწმუნდი, რომ ეს მისი საყვარელი თემა იყო ყოველთვის – ოჯახი, ადამიანის ფესვები, წარმომავლობა). ესიამოვნა ქეთო წულუკიძის დისწული რომ გამოვდექი. დეიდაჩემი ქეთო წულუკიძე და ვახტანგის დედა – ქალბატონი ლიზა ციმბირში ერთად იმყოფნენ 37 წლის რეპრესიების შედეგებს და იქ დაწყებული კარგი ურთიერთობა ბოლომდე შემორჩათ.

ვახტანგ ბერიძემ წარმადგინა ბატონ გიორგისთან. კაბინეტი აღმოჩნდა მომცრო, ვიწრო ოთახი, რომლის ერთადერთი ფანჯარა მუზეუმის ეზოში გადიოდა. საწერი მაგიდა ფანჯარასთან იდგა; მაგიდის წინ – რამდენიმე სკამი, სტუმართათვის განკუთვნილი, აქ ინახებოდა უძვირფასესი კოლექცია – ქართული ხელოვნების ძეგლთა ანაზომები და ნახატები, სხვადასხვა დროს შესრულებული. ეს ოთახი თავისი იერით, ავეჯით, რამდენიმე სურათით კედელზე, საოცარი სისადავის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

იმ დღეს პირველად ვიხილე ბატონი გიორგი. პირველივე შთაბეჭდილება ძალიან ძლიერი იყო. იგი არავის ჰგავდა იმათგან, ვისაც მანამდე ვიცნობდი. მერე მივხვდი – იგი იყო ნამსხვრევი იმ სამყაროსი, რომელსაც გეგმაზომიერად ანადგურებდნენ ბოლშევიკები 70 წლის განმავლობაში, თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ მიაღწიეს მიზანს. 72 წლის იყო მაშინ. მოკლე წვერი, მშვენიერი "შეველიურა", სადა კოსტიუმი (ასე იყო ყოველთვის). მკაცრი იერის ინტელიგენტი, ძლიერი პიროვნება იჯდა ჩემს წინაშე ოთახში, რომელიც ასკეტის სამყოფელს უფრო მოგაგონებდა ადამიანს, ვიდრე ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტს.

კონკრეტული დეტალები მაშინდელი ჩვენი საუბრისა გამქრალდა ჩემს მეხსიერებაში. მაგრამ გაუხუნარია პირველი შთაბეჭდილება მისი პიროვნებისაგან: ძლიერი, მკაცრი, დისტანციური... ამასთანავე თანდათან გამოიკვეთა მისი ადამიანური სითბო, სიკეთე. განსაკუთრებული იყო, როცა მისი თვალები ციმციმს იწყებდა. აციმციმებული თვალები და მკაცრი იერი, თითქოს შეუთავსებელი, მაგრამ რეალურად არსებული, ჩვენგან, მისი მოწაფეებისგან დანახული. თუმცა გაჯავრებულიც მინახავს...

თავიდან ჩამრიცხეს სტაჟიორად, ასეთი იყო ინსტიტუტის წესი. ახალგაზრდებს წვრთნიდნენ, აკვირდებოდნენ, ამზადებდნენ პროფესიისათვის და, ამასთან ერთად, გარკვეული ადამიანური ურთიერთობებისათვის, რაც, რა თქმა უნდა, შორს იყო

კომუნისტური იდეოლოგიის ნორმებისაგან.

დაახლოებით ერთ დროს მიეედით ინსტიტუტში ლეილა ხუსკიეაძე, თამაზ სანიკიძე, ნუგზარ ანდღულაძე, თამაზ ჭელიძე, მეც. იქ დამხედენენ ცოტათი ჩვენზე უფროსები; თანდათან უფრო ახალგაზრდებიც შემოგეემატენ. ერთად დაედიოდით ექსპედიციებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მიელინებებში მოსკოვსა და ლენინგრადში...

1959 წელს მიმიღეს თანამშრომლად. ჯერ პრეპარატორი (ასე ერქვა ჩემს პირველ თანამდებობას, მისი ფუნქცია არც მაშინ ეიცოდი, არც მერე მიკითხავს), შემდეგ ლაბორანტი, ჩაეაბარე ასპირანტურაში. გაეხდი უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი. დაახლოებით ასეთ გზას გადიოდა ინსტიტუტში მიღებული ყოველი ახალგაზრდა. შემდგომში სამსახური არ შემიცელია. დღემდე ამ ინსტიტუტში ვარ, თითქმის ნახევარი საუკუნეა. მაგრამ ამ დროიდან მხოლოდ თექვსმეტიოდე წელი მქონდა ბატონ გიორგისთან ურთიერთობის ბედნიერება... თანდათან ვიცელიდი თანამდებობებს. როცა ბატონმა ეახტანგმა სწაელული მდიენობა შემომთაეაზა (რადგან ქალბატონი სარა ბარნაველი ზაქ. მაისურაძის გარდაცვალების შემდეგ გადადგა ამ თანამდებობიდან და მისი განყოფილება ჩაიბარა), ეს ჩემთვის შოკის მომგვრელ მოულოდნელობად იქცა. უნდა მემუშაენა ბატონი გიორგისა და ბატონი ეახტანგის გვერდით. მართალია, ბატონი გიორგი სამსახურში თანდათან უფრო იშვიათად მობრძანდებოდა ხოლმე, ინსტიტუტს ფაქტიურად ბერიძე მართაედა უკეე, მაგრამ დირექტორი კელავ ბატონი გიორგი იყო და ბატონი ეახტანგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა არ ეგრძნობინებინა მასწაელებლისათვის მისი ტვირთის სიმძიმე თავად რომ პქონდა ნაკისრი. ჩემს მოეალეობას ისიც შეადგენდა, რომ კვირაში ორჯერ (მაინც!) მივსულიყავი საქალალდეთი ბატონ გიორგისთან სახლში და მომეწერინებინა მისთვის ხელი დოკუმენტებზე. როგორი ლამაზი, კალიგრაფიული ხელწერა პქონდა, ხელოვნების ქმნილების ტოლფასი. ბატონი გიორგისა და ბატონი ეახტანგის შეხვედრა და ერთად მუშაობა (მოძღვარი, ოსტატი და შეგირდი), რა თქმა უნდა, შემთხვეევითი არ იყო. ორივე უზარმაზარი ოდენობით ასხიეებდა უკიდეგანო კეთილშობილებას, მომავალ თაობებს რომ მაგალითად შეიძლება პქონდეს.

მოვიტან ორ მაგალითს. ერთი ზემოთ ნათქვამს უკავშირდება. ბატონი ეახტანგი ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს ბატონი გიორგის ცხოერების ბოლო ხანებში. მაგრამ იგი (ბატონი ეახტანგი) ბატონი გიორგის ბოლო ამოსუნთქვამდე არ უკარგაედა რწმენას მასწაელებელს, რომ ისაა ხელმძღვანელი და ასე, ერთად ენერგიული, შედარებით ახალგაზრდა ბატონი ვახტანგი, თვითონ უკვე სახელოვანი მეცნიერი, საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენელი, და ბატონი გიორგი – მეტრი, ბოლომდე ნათელი გონების პატრონი, მაგრამ პიროვნება, რომელიც თანდათან კარგაედა ფიზიკურ ძალას – ერთად მართაედნენ სიყვარულით და ურთიერთგაგებით ჩვენს ინსტიტუტს.

მეორე მაგალითი, რომლის უშუალო მოწმე მეც ვარ. საბანკო ანგარიშებს ხელს აწერდნენ ან დირექტორი, ან მოადგილე. მაგრამ იმის შემდგომ, რაც ბატონი გიორგი ინსტიტუტში ველარ მობრძანდებოდა, მე მიედიოდი ხოლმე ბატონ გიორგისთან და მიმქონდა მასთან ჩეკი ხელმოსაწერად; ეტყობა ბატონ ეახტანგს არ უნდოდა ბატონ გიორგის ნათელ გონებას დაეფიქსირებინა – ხელის მოსაწერად აღარ მაწუხებენო (!). ერთ დღეს ბანკმა აღარ მიიღო ბატონი გიორგის ხელმოწერით ჩეკი: ბოლო წლებში მოძალებული პარკინსონის დაავადების გამო ხელწერა შეცელოდა. ბერიძემ უხმო ბუღალტერს, მათ ხელახლა შეავსეს ჩეკი და გამატანეს ბატონ გიორგისთან. სადღა იყო ის სიხარული, რომლითაც მე ვერის დაღმართზე მიექროდი მტკვარგაღმა ბატონი გიორგის სახლისკენ მასთან შეხვედრის მოლოდინში. როგორღაც ავუხსენი – ახალი ხელმოწერა გვჭირდება – მეთქი. მე მგონი მიხვედა, რაშიც იყო საქმე და ღელვისაგან კიდეც უფრო უარესად მოაწერა ხელი. ბანკმა არც ის ქვითარი მიიღო. მაშინ ბატონმა ვახტანგმა პკითხა ბუღალტერს – რა ვქნათო? ბუღალტერმა უპასუხა – ერთადერთი გზა არსებობს – ეს ჩეკი უნდა დაიხეს და ახალს თქვენ მოაწეროთ

ო�plete. ეს [illegible] ეს რამდენჯერმე განმეორდა. იურდიულად შესაძლრა ეს არ იყო გამართლებული, მაგრამ ადამიანია ურთიერთობის თვალსაზრისით მისაბაძ მაგალითად მიჩანია.

ბუნებაში ბინადრობისას ჩვენს ინსტიტუტს დირექტორის კაბინეტის, ბიბლიოთეკის, კანცელარიისა და ფოტოთეკის გარდა, ორი დიდი სამუშაო ოთახი ჰქონდა. პირველ ოთახში დიდი ხაწერი მაგიდა იდგა "პირით" დანარჩენი სიერციისაკენ. ამ მაგიდას ბატონი ეახტანგი უჯდა და იქ მიმჯდარს კონტაქტი ჰქონდა ყველა იმ ოთახში მსხდომთან. კონტაქტურობა, ადამიანებთან, კოლეგებთან ახლო, მუდმივი ურთიერთობა ბერიძის ერთი ძირითადი თვისებათაგანი იყო. ამ მხრივ, ჩემის აზრით, იგი ერთეულად განსხვავდებოდა მასწავლებლისგან, რომელიც თითქოსდა გაურბოდა მჭიდრო კონტაქტებს (მე ესაუბრობ მხოლოდ ჩემს პირად შთაბეჭდილებებზე). მაგრამ უხილავი ხიდი მუდამ იყო გაბმული მასსა და მის თანამოაზრეებს შორის. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ბატონი ვიორგი თითქოსდა განცალკევებული იყო თავის ოთახის ინკუბატურ კაბინეტში. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მასთან ყოველთვის მოდიოდნენ ბუნებისმეტყველური დარგის გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები. მასთან შედიოდნენ ხოლმე სათათბიროდ მისი მოწაფეები (ჩვენი მასწავლებლები); ის გადახსნიდა ხოლმე ჩვენც – ახალგაზრდებს და გვესაუბრებოდა ჩვენი საქმიანობის შესახებ. ეს საუბარი ყოველთვის იყო ძალიან დელიკატური, ვინაიდან ბატონი ვიორგი, ალბათ, გრძნობდა, რომ თითოეული ჩვენთაგანისათვის მასთან პირისპირ დარჩენა და ზეგალ ბატონებზე (ანუ მეცნიერებაზე) საუბარი ემოციური თვალსაზრისით საკმაოდ დაძაბული იქნებოდა.

ინსტიტუტის რეჟიმი ზოგადად ასეთი იყო: ახალგაზრდები უნდა მოესულიყავით დილის ათ საათზე. უფროსები მოდიოდნენ ორი საათისათვის. მანამდე ჩვენ ვმეცადინეობდით. უფროსების მოსვლის შემდეგ გარკვეულ დღეებში ახალგაზრდებისთვის უწყობდა სემინარები, ვეიტარდებოდა მეცადინეობა მხატვრული ნაწარმოების ანალიზში (ამ საქმეს წლების განმავლობაში გაიარე ალიბეგაშვილი ასრულებდა). ან დარჩებოდა, როგორ ვეკითხავდა პირდაპირ ფურცლიდან რენე შმერლინგი ახალგაზრდობისულ ენაზეთ წიგნს (მან თითქმის თანაბრად კარგად იცოდა ფრანგული, ენგლისური და ინგლისური ენები). მახსოვს ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უფროსებთან ერთად: მახსოვს კრებები ინსტიტუტში, სამეცნიერო მოხსენებები, ხანდახან მაჩვენებელი ეამოდენებისა თუ კონკურსის შედეგის განხილვა... ახალგაზრდები ვეუბნებოდით უფროსებს და თითქოს მისტიკურ საიდუმლოებებს ვეზიარებოდით. ჩვენთვის, ჩემი თაობისათვის ინსტიტუტში მოხვედრა ლატარიაში მოგებული ბილეთის ამოღებას მიგვაჩნდა. ინსტიტუტი არ იყო ჩვენთვის ხალხური, ის იყო ეპიზოდის ყოფილა. ურთიერთობა ზნეობრივ, ეამოორეულ პროფენებებთან, რომლებიც მეცნიერებასთან ერთად ზნეობრივ ეაკეთილებასაც ეკაძლევდნენ. ბატონი ვიორგი ინსტიტუტი, ჩემი ახლობელი ადამიანის მოხრებული თქმით, იყო ოაზისი, რომელშიც ეოფნის შეიძლება შენარჩუნოს ყველა მეცნიერმა, ანაც ეს კომუნისტური რეჟიმის ინსტიტუტებში მუშაობის მოსწრებული ... ამ ... ამ ხელოვნების შეგნებული, თითქოს XIX საუკუნეში რომ ... ბატონი ვიორგი ... ბერიძემ ... ხანა ... ეოფილ ... ეოფილ ... 1941 წლის ინსტიტუტი ... ...

ხელოვნების ისტორიას რომ ქმნიდა მოძღვართან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად, თინათინ ეირსალაძე – ჩემი დაუვიწყარი მასწავლებელი, რომლის არცთუ მრავალად დარჩენილი ნაშრომები ობოლი მარგალიტებივით ბრწყინავს მათთვის, ვისაც ქართული სახვითი ხელოვნება, ქართული შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობა იზიდავს. ლევან რჩეულიშვილი, სარა ბარნაველი, ზაქარია მაისურაძე, ვახტანგ ცინცაძე, რუსუდან მეფისაშვილი, შემდგომში ინსტიტუტში მოსული სხვა თანამშრომლებიც – ყველას აქვს გარკვეული წელილი ჩემი და ჩემი თაობის პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში. ახლა ფაქტიურად ჩემი თაობაა ინსტიტუტში უხნესი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა...

ამგვარი ცხოვრების წესი, რაც ჩემს თაობას ინსტიტუტში დახვდა, მოფიქრებული და გააზრებული იყო. ჩვენ ინსტიტუტში კი არ ემუშაობდით, ეცხოვრობდით (!) ერთად, ერთ ოჯახში – უფროსები და უმცროსები, გარკვეული წესისა და რიგის მიხედვით; ჩვენი სიხარულებით, წარმატებებით, ჩვენი პრობლემებით, ბრძენი მოძღვრის კალთაგადაფარებულნი. ჩვენი უფროსები ოჯახებით მეგობრობდნენ, ჩვენც ასევე დაემეგობრდით ერთმანეთთან და ჩვენს უფროსებთან. ბელინსკის ქუჩაზე, მაღლა, ერთ მეუდრო სახლში ცხოვრობდა ქალბატონი თინა ეირსალაძე, რომელთანაც სამუშაოდ მე, ისევე როგორც სხვები, საღამოობით მის სახლში მივდიოდი. მისი ოჯახი ჩემთვის ახლობელი გახდა. მის გამო დაეუახლოვდი ქალბატონ ლოლოთას, ბატონ სოლიკოს (ქალბატონი თინას დაძმას), მანანა ხიდაშელს – მის დისწულს. ქალბატონი თინას შვილიშვილი თინიკო ხოშტარია, წლისაც არ იყო, როცა ქალბატონი თინა "ჩემს ნაცოდვილარს" კითხულობდა, მე ხელში მყავდა აკვანი და ვართობდი. ახლა თინიკო ჩვენი კოლეგაა, ჩვენს ინსტიტუტში მუშაობს. ქალბატონი თინა დიდი ხანია აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ მის უბანში გაელა დღესაც მიჭირს.

ინსტიტუტის თვისება იყო გარკვეული ტრადიციებით ცხოვრება. არსებობდა გამორჩეული "საკრალური" დღეები, უპირველესი ამათგან იყო 1 აპრილი, ინსტიტუტის დაარსების დღე. ამ დღეს აუცილებლად ვიკრიბებოდით ინსტიტუტში. მიხვიდა მამულაშვილი, ბატონი გიორგის მეგობარი და პატივისმიმგები, ულამაზესი ყვავილების კალათას უგზავნიდა მცხეთიდან. ამ კალათაში იდებოდა იმდენი ლამაზი ვაშლი, რამდენისაც ინსტიტუტი სრულდებოდა იმ წელს. ვულოცავდით ამ დღეს ერთმანეთს. მოდიოდნენ ინსტიტუტის მეგობრები და ისინიც გვილოცავდნენ. თავიდან ბევრნი იყვნენ, შემდეგ ბევრი გამოგვაკლდა მათ შორის – გიორგი ლომთათიძე, პარმენ ზაქარაია, ნინო ღოლობერიძე, ნუციკო (ნინა) უგრელიძე, სხვებიც...

საღამოს კი ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი (მეგობრებიც) უკლებლივ (!) მიწვეული ვიყავით ბატონი გიორგის ბინაში ს. ორჯონიკიძის ქუჩაზე; საბედნიეროდ, დღეს ამ ქუჩას ბატონი გიორგის სახელი აქვია. ვინ იცის, რას ფიქრობდა იგი, როცა ამ ქუჩით მიდიოდა ინსტიტუტში ან ბრუნდებოდა უკან; ან თუნდაც მის ლამაზ, ძველებურ სახლზე მიკრულ აბრას რომ ხედავდა ქუჩის სახელით? მაგრამ მე ისიც არ ვიცი, დღეს ამ ქუჩაზე გამველელმა ყველამ თუ იცის, რა პიროვნების სახელს ატარებს იგი? ამ დღისთვის დიდი ხანი ვემზადებოდით. მთავარი იყო სანუქრის მოფიქრება ბატონი გიორგისთვის. ამ სამზადისის სულის ჩამდგმელი რენე შმერლინგი იყო. სანუქრის ერთი სახეობა იყო გამოქვეყნებული სტატია, წაკითხული მოხსენება, რომელიც საამკინძაო საამქროში სპეციალურად შერჩეულ ლამაზ, დაჩითულ ყდაში ისმებოდა. ასევე "ძვირფასი" ძღვენი იყო ფოტო, რომელიც მიერთმეოდა ხოლმე ბატონ გიორგის. სანუქრის "ფასი" განისაზღვრებოდა არა მარტო პროფესიული ოსტატობით (ფოტოგრაფის), არამედ იმითაც, თუ როგორი იყო თვით ძეგლი, ფოტოზე დაფიქსირებული მისი დეტალი, რამდენად ცნობილი იყო ეს ძეგლი (მისი "უცნობობა" განსაკუთრებით ფასობდა), რამდენად ადვილი იყო ამ ძეგლთან მისვლა (გზის სირთულე ფოტოს ქულებს უმატებდა) და სხვ. ყველა სანუქარი გამორჩეული უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანებით, შესაძლოა

გონებამახვილობითაც (ჩვენს ინსტიტუტში იუმორი ყოველთვის დიდად ფასობდა), კავშირით ჩვენს პროფესიულ საქმიანობასთან...

სუფრა ყოველთვის გეხედებოდა უხვი, ლამაზი. მისი შემქმნელი იყო ბატონი გიორგის ასული, ქალბატონი რუსუდანი, მშვენიერი ქალბატონი, და პატარაობიდანვე მისი დამხმარე მისივე ქალიშვილი – ლალი რჩეულიშვილი, რომელიც ახლა უკვე თავად გახლავთ ბებია. ჩვენ ყველანი ეგრძნობდით, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ბატონი გიორგისთვის ეს დღე. თვითონ, მისი მეუღლე ნინო, ქალბატონი რუსუდანი და მისი მეუღლე ბატონი ლეო რჩეულიშვილი (ისინი ბოლომდე ბატონ გიორგისთან ცხოვრობდნენ, რადგან ქალბატონმა რუსუდანმა იტვირთა მშობლებზე ზრუნვა), მათი ვაჟები გოგი და ნოდარი.

ბატონი ნიკო - ბატონი გიორგის ვაჟი,- ყოველთვის გვიღებდა სურათებს, რომლებსაც შემდგომში ვაბეჭდინებდით და ვინახავდით. თუ არ ვცდები, ვახტანგ ბერიძის არქივში ინახება ამ ფოტოების ალბომები, წლების მიხედვით დალაგებული; სხვა ღირსებებთან ერთად, ბატონ ვახტანგს უდიდესი პუნქტუალობაც ახასიათებდა და ცდილობდა შეენახა მცირედი რამეც კი, რაც ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული.

ღვინოს არ სვამდა ბატონი გიორგი, არც ბატონი ვახტანგი სვამდა, მაგრამ ბატონი გიორგის სუფრებზე ბატონი ვახტანგი იყო უცველელი თამადა, ბოლოს რამდენჯერმე გიორგი მასხარაშვილი ჩაენაცვლა მას და არცთუ ურიგოდ. ყოველ შემთხვევაში, მახსოვს ბატონი ვახტანგის კომპლიმენტები გიორგის თამადობის მიმართ გამოთქმული. ჩვენი მამაკაცები – ძირითადად ჩვენი თაობა – მღეროდნენ შესანიშნავად.

თემურ საყვარელიძე, ნუგზარ ანდღულაძე, ნუკრი ალხაზიშვილი, თამაზ სანიკიძე, იუზა ხუსკივაძე, სხვანიც შეხმატკბილებულნი იყვნენ ერთმანეთთან. მათთან ერთად მღეროდა ხოლმე რეზო ბერიძე, ბატონი ვახტანგის ვაჟი, მშვენიერი ხმისა და მუსიკალური სმენის პატრონი. ბატონი გიორგი დიდი სიამოვნებით ისმენდა ხოლმე 1 აპრილის საღამოებზე მათ ქართულ სუფრულ სიმღერებს. სიმღერასთან დაკავშირებით ერთი კურიოზიც მახსენდება. ერთხელ დილით ადრე მისულს სამსახურში, პირველი ოთახიდან სიმღერის ხმა მომესმა. როცა შევედი, დავინახე, რომ ჩვენი "ბიჭები" ნოტებით ხელში არჩევენ ძველ ქართულ ხალხურ სიმღერას, რომლისთვისაც ნუკრის მიუკელავია. სამსახურშიც ადრე მოსულან იმიტომ, რომ გაეარჯიშებულიყვნენ. თუ არ ვცდები, იმ სიმღერის "პრეზენტაცია" (მაშინ ასეთ სიტყვებს იშვიათად თუ ხმარობდნენ), სწორედ 1 აპრილს მოხდა ბატონი გიორგის სახლში. იყო ბევრი მხიარულება, ხუმრობა, ცეკვა, საინტერესო ამბების მოთხრობა. საგულისხმოა, რომ ჩვენ, მაშინ სრულიად ახალგაზრდები, ვცდილობდით საგანგებოდ ჩაცმული ვყოფილიყავით და ბატონი გიორგიც არ იშურებდა ჩვენთვის კომპლიმენტებს. და როცა წასვლის დრო დგებოდა, მასპინძლები, განსაკუთრებით ბატონი გიორგი, გულწრფელად გეთხოვდნენ, არ წავსულიყავით, დაერჩენილიყავით. ჩვენთვის ხომ ძვირფასი იყო ეს საღამოები, მაგრამ მე მგონია, რომ ბატონი გიორგისთვისაც ისინი განსაკუთრებული იყო. იგი მაინც სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა, მაღალი იდეალების სამყაროში, უნდოდა თუ არა, დისტანცია ყოველთვის არსებობდა მასსა და სხვებს შორის (მაგრამ ეს დისტანცია მისი სურვილით კი არა, მისი მნიშვნელოვანებით იყო განპირობებული) და ეს ერთი დღე წელიწადში ორივე მხარეს შესაძლებლობას გვაძლევდა წაგვეშალა ეს ზღვარი და ერთ მთლიანად ექცეულიყავით. ამიტომ ვიყავით ყველანი ასე ბედნიერნი იმ საღამოს. სამუდამოდ მაქვს აღბეჭდილი მეხსიერებაში ბატონი გიორგის სახლის იერი – სადარბაზო ფართო კიბეებითა და ლამაზი, ძველებური მოაჯირით, უამრავი ოთახი – დიდი, მაღალჭერიანი, მაღალი ფანჯრებიდან უხვად ჩაღერილი შუქით და ეზოსკენ უზარმაზარი გადახურული აივნითა და ფლიგელით. ამ დიდ, თავისუფალ სივრცეს საოცარი ასკეტიზმის იერი დაპრავედა. ავეჯი იყო მინიმალური რაოდენობით, ისეთი, რომ არ მიაქცევდი ყურადღებას. სახლი სავსე იყო წიგნებით, კედლებს ამკობდა სურათები, ბევრი – მიძღვნილი მეგობრებისაგან, ფოტოები და ყოველივე ამაში იყო

ნაღერილი სულიერება, სულის არისტოკრატიზმი, თითქოს გასული საუკუნიდან გადმოყოლილი.

მეორე დღეს კი იწყებოდა ისევ ჩვეულებრივი, მაგრამ განუმეორებლად მიმ-ზიდველი ყოველდღიური ცხოვრება.

როდესაც ბატონ გიორგის ფიზიკური სისუსტე მოერია, დაიბადა აზრი, რომ 1 აპრილს აღარ შეგვეწუხებინა ჩუბინაშვილების ოჯახი. ეს რომ გაუგია ბატონ გიორგის, უთქვამს – სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს დღე არ მოიშლება. მართლაც ასე მოხდა.

გვქონდა კიდევ ერთი გამორჩეული დღე – 21 ნოემბერი, ბატონი გიორგის დაბადების დღე. 2 საათისთვის ვიკრიბებოდით ხოლმე ყველანი პირველ ოთახში, იქ სადაც მუშაობდა ბატონი ვახტანგი ჩვენს უფროს კოლეგებთან ერთად. ისევე როგორც 1 აპრილს, მოსალოცად მოდიოდნენ არა მარტო ჩვენი თანამშრომლები, არამედ მუსეუმელები, ინსტიტუტის სხვა მეგობრები, ისინიც, ვინც ადრე მუშაობდა ჩვენთან (სამწუხაროდ, ყველას ვერ ჩამოვთვლი). სული და გული ამ შეხვედრებისა მუდამ იყო ბატონი ვახტანგი. მას მოქონდა ალბომები თავისი ბრწყინვალე კარი-კატურებით (მრავალ სხვა ნიჭთან ერთად იგი მშვენიერი კარიკატურისტიც იყო). ამ კარიკატურებს სლაიდოსკოპით ეუსვენებდით. ასევე ბრწყინვალე, ენამოსწრებული იყო მისი კომენტარები ამ ნახატებისათვის, ბატონ ვახტანგს მოქონდა აგრეთვე ძველი დოკუმენტები, ამონაჭრები გაზეთებიდან, რომლების გაცნობა წარმოუდგენელ სიამოვნებას გვგვრიდა.

მახსენდება ბატონი გიორგის ერთი ბრძანება, ომისდროინდელი ინსტიტუტის ცხოვრებიდან – ქალბატონ თინა ვირსალაძეს გამოეცხადა საყვედური ინსტიტუტში 10 წუთით დაგვიანებისათვის (!). ატყდა ხარხარი. ვიცინოდით ყველა – ბატონი გიორგიც, ქალბატონი თინაც, ჩვენც, ვინაიდან სამსახურის ასეთი მკაცრი რეჟიმი ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის შორეული, უკვე ლეგენდად ქცეული წარსული იყო. თანაც, ყველამ ვიცოდით, რომ ქალბატონი თინა "დამურა" იყო. იგი სახლში გათენებამდე მუშაობდა და დილით მიძინებულს, რა თქმა უნდა, უჭირდა სამსახურში დროულად მოსვლა, რბილად რომ ვთქვათ, ეს პრობლემა ბოლომდე ჰქონდა. გარდა ამისა, ინსტიტუტში თავისებურად უყურებდნენ თანამშრომელთა სამსახურში დროზე გამოცხადების საკითხს, ეს ბერიძის კომპეტენცია იყო, ბატონი გიორგი ამ საქმეებში არ ერეოდა.

ჩვენს ახალგაზრდობაში განსაკუთრებით პრობლემატური იყო ორშაბათი დილა. ამ დღეს დილის 10 საათზე კინოთეატრ "რუსთაველში" ახალი უცხოური ფილმის ჩვენებას აწყობდნენ ხოლმე. ამიტომ ინსტიტუტის მთელი ახალგაზრდობა (უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა) ორშაბათს დილით 10 საათზე იქ ვიყავით. და როგორი გაოცებული დავრჩით, როცა პირველად, სინათლის ჩაქრობისას გასასვლელის მხრიდან შემოსული ვახტანგ ბერიძე დავინახეთ, რომელიც იქვე კარებთან დაჯდა და კინოს დამთავრებისას ისე წავიდა, რომ მიგვასწრო ინსტიტუტში. საერთოდ, საოცრად ჩქარი სიარული იცოდა. ჩვენთვის არაფერი უთქვამს, არც ფილმი უხსენებია, მაგრამ მეორე დღეს დაგვიწყო ფილმზე საუბარი – ხომ შეგვეძლო ორშაბათს საღამოს გვენახა ფილმი?

ასეთი კინომსველველობები საკმაოდ მახსოვს. მაგრამ მიუხედავად გარეგნული, ფორმალური თითქოსდა "მოშვებისა", საქმის ერთგულება, მოუშლელი პრინცი-პები, დავალების დროზე და ხარისხიანად შესრულება აუცილებელი იყო. და თუ ყოველივე ამას შეასრულებდი, რატომ არ შეიძლებოდა ორშაბათს დილას დაგვგვი-ანებინა სამსახურში, კარგი უცხოური ფილმი გვენახა (სხვა გართობა მაშინ ხომ ნაკლებად იყო) და, რაც მთავარია, ამას ყოველივეს ხომ "აერძალული ხილის" გემო ქონდა, ჩვენთან ერთად ხომ ბატონი ვახტანგიც იყო, ისიც არღვევდა წესს (ეს განსაკუთრებით გვხიბლავდა!); იგი ჩვენ ვითომ ვერ გვამჩნევდა და ვერც ჩვენ ვხედავდით თითქოს, მაგრამ ასევე მოუთმენლად ველოდით სამშაბათ დილას, ვი-ნაიდან ბატონ ვახტანგთან ერთად გვინდოდა გაგვერჩია ნანახი ფილმი.

რა თქმა უნდა, ბატონ გიორგისთან მსგავსი შეხვედრები არ გვქონია. უბრალოდ, ვიცოდით, რომ მას ძალიან უყვარდა კითხვა. უყვარდა მუსიკა. უკრავდა ვიოლინოზე, მეუღლე – ფორტეპიანოზე ისიც ვიცი, რომ სიამოვნებით დადიოდნენ თურმე ცოლ-ქმარი კლასიკური მუსიკის კონცერტებზე, განსაკუთრებით როცა გამოჩენილი გასტროლიორები ჩამოდიოდნენ. მაგრამ ჩვენ დიდად ვაფასებდით იმ დღეებს, როცა გვეღირსებოდა ბედნიერება ბატონ გიორგისთან ერთად ერთდღიან ექსპედიციებში გამგზავრებისა. ინსტიტუტს ჰყავდა ერთი ძველი. პატარა, ტაატით მოსიარულე ავტობუსი. კვირაში ერთხელ, ხუთშაბათს დილით ავტობუსი იდგა მუზეუმის კარებთან და აქვე იყო მძღოლი დათიკოც (ომგამოვლილი უბრალო კაცი, ბატონი გიორგისა და ინსტიტუტის ერთგულესი და მოყვარული პიროვნება. დათიკო არ აცდენდა არც ერთ სამეცნიერო მოხსენებას ინსტიტუტში. გულისყურით უსმენდა გამომსვლელებს, სიტყვა "ხალტურა", ანუ მანქანის მეშვეობით დამატებითი სახსრის შოვნა-მისთვის არ არსებობდა). ბატონი გიორგის ადგილი მანქანაში უცვლელი იყო, იგი ჯდებოდა მარცხენა რიგში, პირველ სკამზე, თან ჰქონდა თავისი უცვლელი ფოტოაპარატი (რა თქმა უნდა, ბლოკნოტიც, ფანქარი თუ კალმისტარი) და აბგა ასკეტის საუზმით. ჩვენ გაფაციცებით ვუსმენდით უფროსების საუბარს მასთან, ვიმახსოვრებდით ძეგლის ამა თუ იმ მხარის მისეულ შეფასებას. დისტანცია ბატონ გიორგისა და ჩვენს შორის ძეგლზე გასვლისას მცირდებოდა; ეს არ იყო ინსტიტუტის "რეჟიმი", მაგრამ არც 1 აპრილის "თავდავიწყება" იყო. ხიბლი ამ გასვლებისა სუფთა ჰაერზე, ძეგლების სანახავად, სამუდამოდ შემორჩა ჩემს და ჩემი მეგობრების მეხსიერებას.

ერთი საინტერესო შტრიხი ბატონი გიორგის დასახასიათებლად. როდესაც ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლები კითხულობდნენ სხდომებზე დასრულებულ სადისერტაციო ნაშრომებს, კამათი თემის ირგვლივ ზოგჯერ (თუ ხშირად) ძეგლზე გრძელდებოდა. ჩავესხდებოდით ხოლმე დილით ავტობუსში და ადგილზე ვისმენდით დისერტანტისა და ჩვენი უფროსი კოლეგების საუბარს.

ჩვენი თანამშრომლის კუკური (მალაქია) დვალის დისერტაციის საგანი მანგლისის ტაძრის არქიტექტურა იყო. მან ბევრი იმუშავა, გაითხარა კიდეც, შურფებიც დაიტანა და შეეცადა მაქსიმალურად წარმოედგინა ამ ძეგლის სახე, მისი თავისებურებანი. ამჯერად მდგომარეობას ის ართულებდა, რომ მანგლისის შესახებ ბატონ გიორგისაც ჰქონდა პატარა სტატია გამოქვეყნებული და გამოვიდა ისე, რომ მათი მოსაზრებები (ბატონი გიორგისა და კუკურის) მთლად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მოვისმინეთ დისერტაცია ინსტიტუტში და ბატონმა გიორგიმ ბრძანა, რომ უკეთესი იქნებოდა თუ მსჯელობას უშუალოდ ძეგლზე გავასრულებდით. მართლაც, წავედით მანგლისში. კუკური ძალიან ღელავდა, მაგრამ ცდილობდა ეს არ შემჩნეოდა და დინჯად (რაჭულად) გვიამბობდა მისი კვლევისა და მეთოდების შესახებ. ბატონი გიორგი გულდასმით უსმენდა, აძლევდა შეკითხვებს და კარგა ხნის მსჯელობის შემდეგ გაუწოდა კუკურის ხელი და უთხრა (სტენოგრაფიული სიზუსტით ვერ ვწერ): "კუკური, თქვენ მე დამაჯერეთ თქვენი დასკვნების სისწორეში. ერთადერთი გამართლება ჩემთვის, მოხუცისთვის, ის არის, რომ როცა ეს სტატია დავწერე, ახალგაზრდა ვიყავი და დროც არ მქონდა იმდენი, რომ ტაძარი დეტალურად შემესწავლაო" (ეს აღნიშნულია კიდეც ბატონი გიორგის სტატიის შესავალში; მგონი ერთი საათი თუ საათნახევარი დაჰყო მან მაშინ მანგლისში, ეს იყო გასული საუკუნის 20-იანი წლები). ბოლოს ერთი სიტყვა უთხრა – გილოცავთო. კუკურიზე ბედნიერი იმ დღეს ცოტა ვინმე თუ იქნებოდა. ესეც ბატონი გიორგის სკოლის ერთი ძირითადი თვისება იყო – რა თქმა უნდა, ავტორიტეტები არსებობდნენ, მაგრამ უფროსები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ჩვენში დამოუკიდებელი, არგუმენტირებული აზროვნების ჩამოყალიბებას.

ბატონი გიორგი საკმაოდ "ჩაკეტილი" პიროვნება გახლდათ, მაგრამ მისი მოქალაქეობრივი პოზიცია (ისევე როგორც მეცნიერული) ყოველთვის იყო ნათელი და პრინციპული. მას "ცივი ომის" პირობებშიც კი, როცა საგულდაგულოდ იყო ჩამოშვებული ე. წ. რკინის ფარდა სსრკ-სა და ცივილიზებულ სამყაროს შორის, არ

შეუწყვეტია ურთიერთობა უცხოელ კოლეგებთან. მსოფლიოს გამოჩენილი ბიზნეს ტინოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, პატივად მიიჩნეველნენ მასთან ურთიერთობას როცა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან უცხოელმა მეცნიერებმა ნელნელა იწყეს ჩვენთან ჩამოდწევა, ძეგლების ნახვის სურვილთან ერთად მათი თხოვნა იყო შეხვედროდნენ ბატონ გიორგის, რომლის ნაშრომები ფართოდ იყო უკვე ცნობილი დასავლეთში.

გიორგი ჩუბინაშვილს ყოველთვის პრინციპული პოზიცია ეკავა ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან მომენტებში. ორ ფაქტს მოვიყვან მხოლოდ. ერთი მეტეხის ტაძართანაა დაკავშირებული: ლ. ბერიამ შოთა რუსთაველის იუბილეესთან დაკავშირებით (1937 წ.) გადაწყვიტა თბილისის მეტეხის ტაძარი დაანგრია. მეტეხის პლატოზე მაშინ ხელოვნების მუზეუმი იყო განთავსებული და მისი დირექტორი იყო მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე (ეს კიდევ ცალკე მოსაგონებელი უბრწყინვალესი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე). დიტო შევარდნაძემ გადაწყვიტა წინ აღდგომოდა ბერიას ამ საშინელ განსრახვას და სანდრო ახმეტელთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად ეახლა ბერიას თხოვნით, არ განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი (ამ ფაქტის შესახებ არსებობს დიტო შევარდნაძის უახლოესი ადამიანის, მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის ნაამბობი სუკ-ისთვის დიტო შევარდნაძის რეაბილიტაციის შემდგომ – დოკუმენტი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, – არსებობს ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებები მამის – მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ.დაიწერა სხვაგანაც...). ისინი უყოყმანოდ წავიდნენ მაშინ საქართველოს ცკ-ს პირველ მდივანთან, ვინაიდან იმედოვნებდნენ, რომ ბერიას არ გადაადგმევინებდნენ ამ უგუნურ ნაბიჯს და მართლაც ასე მოხდა. მეტეხის ტაძარი გადარჩა, მაგრამ ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპნენ დიმიტრი შევარდნაძე, სანდრო ახმეტელი, მიხეილ ჯავახიშვილი. ისინი სამივენი დახვრიტეს. ბატონი გიორგი სასწაულებრივ გადარჩა. მე ბევრჯერ მიფიქრია, რა ბედმა იხსნა იგი, თუმცა ეს კითხვა არ დამისვამს ჩემი უფროსებისთვის. მაგრამ ერთხელ, ბატონი გიორგი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, რომელიღაც სხდომაზე აღმოვჩნდი არქიტექტორ თეიმურაზ კანდელაკის გვერდით. შესვენების დროს ჩვენი საუბარი შეეხო ბატონ გიორგის, მეტეხის ტაძრის ისტორიას და მე ვთქვი, რა სასწაულებრივია ბატონი გიორგის გადარჩენა – მეთქი. მან კი გაკვირვებით მკითხა – შენ რა, არ იცი, ვინ გადაარჩინა ბატონი გიორგიო? მე გულწრფელად ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. მან მომაგონა, რომ ბატონი გიორგის დიდი მეგობარი იყო არქიტექტორი ნიკოლაპ სვეროვი, რომელსაც უყვარდა საქართველო, ქართული ძეგლები და თავად ბატონი გიორგი. სვეროვი იყო ბატონი გიორგის თანამოაზრე, დადიოდა მასთან ერთად ექსპედიციებში; მის მიერაა შესრულებული ბატონი გიორგის ნაშრომებში მოტანილი ყველა ძეგლის არქიტექტურული ანაზომი თუ ჩანახატი. იგი მითითებულია როგორც თანაავტორი ბატონი გიორგის ნაშრომისა. ქართული არქიტექტურის ისტორიისადმი რომაა მიძღვნილი. მაგრამ, ამავე დროს, სვეროვი პრაქტიკოსი არქიტექტორიც იყო. თბილისში მისი პროექტითა და ზედამხედველობითაა აშენებული, სხვა შენობებთან ერთად, ბერიას საცხოვრებელი სახლი ლ. ქიარელის ქუჩაზე. მას კარგი პირადი ურთიერთობა ქქონია ბერიასთან და სწორედ მან, სვეროვმა დაიხსნაო ბატონი გიორგი. ჩვენ ეს ყველამ ვიცოდით – დასძინა ჩემმა მოსაუბრემ. ასეთია განსვენებული თემო კანდელაკის ვერსია ბატონი გიორგის სასწაულებრივი გადარჩენის შესახებ.

კიდევ ერთი ამბავი, ბატონ გიორგისთან დაკავშირებული. ახალგაზრდობაში ბატონი ვახტანგისგან მსმენია, რომ 1930-იან წლებში, როცა კომუნისტები გააფთრებით ებრძოდნენ ივანე ჯავახიშვილს – უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ გიორგის დიდი თანადგომა გამოუჩენია მის მიმართ. ეს ამბავი წლების განმავლობაში როგორღაც მიინავლა ჩემს მეხსიერებაში. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ, როცა გაეცანი მერაბ ეანინაძისა და ვახტანგ გურულის მიერ გამოცემულ წიგნს – "ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)", "არტანუჯი", თბილისი, 2004 – ბერიძის ნათქვამი იმ წამსვე მომაგონდა.

გულდასმით წავიკითხე ეს წიგნი (მადლობა ავტორებს, თუმცა ამ დოკუმენტების წამკითხველი დიდხანს ვერ დაიძინებს მშვიდად). იქ, ოქმებში რამდენჯერმე შემხვდა ბატონი გიორგის სახელი. მომინდა გარკვეული საკითხების დაზუსტება. სახელმწიფო არქივში მივმართე ქალბატონ მანანა ლილუაშვილს. მან მაჩვენა მასალა, ბევრიც ვისაუბრეთ და მასთან საუბრის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ვალდებული ვარ მკითხველს კიდევ ერთი წახნაგით წარმოვუდგინო ბატონი გიორგი. ქალბატონ მანანას კი უღრმეს მადლობას მოვახსენებ დახმარებისა და გულისხმიერებისათვის.

საუბარია 1930 წლის 28 დეკემბრის ოქმის შესახებ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ე. 476, ნ. 1, საქ. 1, ფურც. 20 – 22). ესაა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მოწყობილი არნახული, უსინდისო პროცესი, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან საშინელ გამონაგონად შეიძლება წარმოგვიდგეს ადამიანს. ამ ოქმში სხვა გამომსვლელებთან ერთად შემხვდა ბატონი გიორგის გვარიც. ცნობილია, რომ ბატონი გიორგი რუსულენოვანი იყო, თუმცა ქართული კარგად ესმოდა, კითხულობდა და წერდა კიდეც ქართულად. მხოლოდ აქცენტის გამო ერიდებოდა ქართულად ლაპარაკს. სტენოგრამაში წერია ბატონი გიორგის გვარი, მაგრამ იქვეა მითითებული, რომ ჩუბინაშვილი რუსულად ლაპარაკობდა და ამიტომ მისი გამოსვლის სტენოგრამა არ არისო. ეს სრულიად გაუგებარი ამბავია, ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ 1930 წლის სტენოგრამაში არ დააფიქსირეს გამოსვლა ადამიანის, რომელიც რუსულად ლაპარაკობდა და მეორე ფაქტი, იმავე სტენოგრამაში დაფიქსირებულია სხვა გამოსვლები რუსულ ენაზე (!) და მათი წაკითხვა დღესაც შეიძლება. მაშინ რატომ გაქრა გიორგი ჩუბინაშვილის გამოსვლა სტენოგრამიდან (თან ესაა ერთადერთი შემთხვევა). ლოგიკური პასუხი ასეთი უნდა იყოს – მავანს არ აძლევდა ხელს, რომ გიორგი ჩუბინაშვილის გამოსვლა დარჩენილიყო სტენოგრამაში. მავანი უეჭველად ერთია – ხელისუფლება. ამავე სტენოგრამაში დაცული გამოსვლები გიორგი ჩუბინაშვილის კრიტიკით, თვით გიორგი ჩუბინაშვილის პიროვნული თვისებები და ვახტანგ ბერიძის ნაამბობი იძლევა სრულ უფლებას დასკვნისა, რომ გიორგი ჩუბინაშვილის გამოსვლა გაანადგურეს იმიტომ, რომ იგი იცავდა (!) ივანე ჯავახიშვილს.

სიტყვას იღებს ვინმე მელიქაძე. მისი გამოსვლის ტექსტის ნაწილი მანქანაზე ნაბეჭდია, ნაწილი – ხელით ნაწერი, ზოგჯერ ძნელად გასარჩევი, მაგრამ უწიგნურობა გამომსვლელელისა ნათლად იკვეთება. ციტატა მელიქაძის გამოსვლიდან:

"ჩვენ ამხანაგებო ხელთ გვაქვს პროფ. ჩუბინაშვილის შრომა "რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან". თქვენ ამხანაგებო შეგიძლიათ განსაჯოთ თვითონვე. აქ ლაპარაკია ძველ ჯვარზე, ახალ ჯვარზე, მცირე ჯვარზე [ეს ირონია გამოწვეულია იმით, რომ გიორგი ჩუბინაშვილი ცნობილი ჯვარის ტაძრის განხილვისას მიმოიხილავს იქვე მდგომ ჯვრის მცირე (!) ტაძარს, რომელიც ცოტათი ადრეა აგებული – ი.ლ.]... როგორ სვამ[ს] საკითხს აქ. რას ლაპარაკობს თავის ამ ნაშრომში ის და ლაპარაკობს თუ რამდენი ყუთი აქვს (?), რამდენი გუმბათი, რამდენი კარი, ფანჯარა და რა ზომების, რომელი მხრიდან ამა თუ იმ ეკლესიას და ვერ ნახავთ ერთ ადგილს სადაც საყდარზე მხოლოდ ამ მხრივ არ იყოს ლაპარაკი. აგრეთვე ვერ ნახავთ ისეთ ადგილს სადაც ნახსენები იყოს, თუ რატომ აშენდა ეს საყდარი, რომელ საზოგადოებრივ ფენას ესაჭიროებოდა. სოციალური მიზნებით აიხსნება სხვადასხვა დროს სხვადასხვა სტილის არსებობა და სხვა..."

ძალიან ძნელია რაიმე კომენტარის გაკეთება როცა ასეთი უწიგნური პირი თავს უფლებას აძლევს მაღალი რანგის მეცნიერული გამოკვლევის შესახებ ასეთ დონეზე და ასეთი ფორმით ისაუბროს.

კიდევ ერთი ციტატა იმავე ავტორის გამოსვლიდან:

"ყველაფერი იმას, რასაც ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტში ჯავახიშვილის მეთაურობით რეორგანიზაციის მარქსიზმის შემოჭრის დროს, ჩვენ ვხედებით სამხატვრო აკადემიაშიც პროფ. ჩუბინაშვილის მეთაურობით. ეს პროფესორი წინააღმდეგი იყო

მარქსიზმის შემოქრის. ის წინააღმდეგი იყო საბჭოთა ელემენტების მიღების, როდესაც ჩუბინაშვილი სამხატვრო ინსტიტუტში მუშაობდა (ბატონი გიორგი სამხატვრო აკადემიის პირველი რექტორი იყო – ი. ლ.), მას არაერთხელ უთქვამს, რომ პოლიტიკას ვერ დაუშვებდა მხატვრობაში... 1927 წლამდე ამ უმაღლეს სასწავლებელში არც ერთი პოლიტიკური საგანი არ იკითხებოდა. ყოველწლიურად მოდიოდნენ ჯგუფი კომუნისტ – კომკავშირლებისა მისაღებად, მაგრამ სისტემატიურად უკან უშვებდნენ და არ ღებულობდნენ. ასეთის თავიდან აცილების შესაძლებლობის თავიდან აცილება (!) გვაქვს 1927 წლიდან რეორგანიზაციის შემდეგ..."

და დასასრულ ორატორი ამბობს: "ის [გიორგი ჩუბინაშვილი] კონტრრევოლუციონური ბანაკის პროფესურის წარმომადგენელია. ის თუ ასე განაგრძობს თავის მუშაობას ვერ დარჩება საბჭოთა სასწავლებელში" (!).

როგორ მინდა ბატონი გიორგი ცოცხალი იყოს დღეს, რომ შემეძლოს თავი მდაბლად დავუკრა და მადლობა მოვახსენო იმ გმირობისა და ვაჟკაცობისათვის, რის გამოც ასე გააფთრებით აკრიტიკებს მას ვინმე მელიქაძე.

მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი ფაქტი ბატონი გიორგის უსამართლო დევნის. სხვადასხვა დროს მას აკრიტიკებდნენ როგორც ფორმალისტს – თურმე ხელოვნების ისტორიკოსმა ხელოვნების ნიმუშის ფორმა, ანუ მისი სტილი არ უნდა იკვლიოს. რომ არსებითია მხოლოდ შინაარსობლივი მხარე, რომ დანარჩენს ყველაფერს სოციალისტური რეალიზმი "მოუვლის".

მე არ დავსწრებივარ 1952 წელს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მოწყობილ დისკუსიას ბატონი გიორგის წინააღმდეგ (სხვათა შორის, თითქმის პარალელურად მიდიოდა თავდასხმები ბატონ გიორგისა და დიმიტრი უზნაძეზე, ესეც საინტერესო დამთხვევაა, ორი ბუმბერაზი ერთად ხდება პარტიული კრიტიკის ობიექტი).

ძალიან ძნელად იბეჭდებოდა მისი გამოკვლევები. დაწერიდან გამოქვეყნებამდე 10, 20 და მეტი წელი გადიოდა. ამაში ადვილად დარწმუნდება მკითხველი, როცა წაიკითხავს მისი ნაშრომების შესავლის თარიღს და ქვემოთ – გამოცემის თარიღს.

მაგრამ მე მოვესწარი ერთ სამარცხვინო დისკუსიას, რომელიც გაიმართა, უფრო სწორად, უნდა გამართულიყო ბატონი გიორგის ერთი გახმაურებული ნაშრომის გამო (სათაურს შეგნებულად არ ვასახელებ). ნაშრომის დაბეჭდვა შეფერხდა, როგორც ადრეც მომხდარა ხოლმე. მაგრამ ახალი იყო ის, რომ დაინტერესებულმა მხარემ მოითხოვა მოწყობილიყო დისკუსია იმის შესახებ – დაიბეჭდოს თუ არა ეს გამოკვლევა. სხდომა მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართა. პატარა დარბაზი გაჭედილი იყო. სხდომის დაწყება გვიანდებოდა. ბოლოს ადგა ბატონი გიორგი წერეთელი, მაშინ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და დაახლოებით ასეთი რამე თქვა: ჩვენ ვიმყოფებით უცნაურ სიტუაციაში. უნდა გამოვიტანოთ გადაწყვეტილება დაიბეჭდოს თუ არა გიორგი ჩუბინაშვილის გამოკვლევა. ეს ხომ არაა საუბარი ასპირანტის ნაშრომის შესახებ, რომელიც შეიძლება რაღაც ეჭვს იწვევდეს. თუ ბატონი გიორგი წარმოადგენს თავის ნაშრომს, ჩვენი ერთადერთი გადაწყვეტილება უნდა იყოს სასწრაფოდ დავბეჭდოთ იგი. გიორგი წერეთლის ამ ვაჟკაცურმა გამოსვლამ გადაწყვიტა იმ ნაშრომის დაბეჭდვის ბედი. თუმცა გარკვეული შეზღუდვა მისი გავრცელების თვალსაზრისით მაინც დაწესდა.

თავისებური ბედის კაცი იყო მაინც ბატონი გიორგი. ბევრ სიხარულთან, გამარჯვებებთან, პატივისცემასთან ერთად თან სდევდა ხოლმე სრულიად უსამართლო მტრობა, კრიტიკა, რისი საფუძველი, ალბათ თავად ბატონი გიორგის უკომპრომისობა, პარტიისა და ხელისუფლების გარკვეული კურსი და, ალბათ, მავანთა შურიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ვაჟა-ფშაველას თქმისა არ იყოს "ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი"...

პარადოქსულია, რომ უსამართლო ბრალდებები ბატონი გიორგის მიმართ განსაკუთრებული ძალით მისი სიკვდილის შემდეგ აგორდა. არა ის, რომ ვთქვათ, რაღაც შეეშალა, რაღაც ისე არ იყო ნათქვამი, არა, თურმე ბატონი გიორგი "საბჭოთა მეცნიერი" ყოფილა, მთავრობის მსახური, ქართული ხელოვნების ძალად გამყალ-

ბეჭედი სხვათა (?) სასარგებლოდ. ამას ადამიანთა ჯგუფი აკეთებდა, რომელთა წესიერება თითქოს საერთო არ უნდა ყოფილიყო. გავიდა ხანი, თითქოს ეს ამბავიც მიწყნარდა, თუმცა ბატონი ვახტანგი, ქალბატონი თინა და სხვა ჩვენი უფროსი კოლეგები გაოგნებული იყვნენ ამ წარმოუდგენელი ინსინუაციების გამო. მაგრამ ამ დღეებში გაგონება გაიგეთ ბატონი გიორგის საიუბილეო თარიღი რომ ახლოვდება, ამ აქციის ერთ-ერთმა იდეოლოგმა ერთი მეორეხარისხოვანი გამოცემისათვის მიცე-მულ ინტერვიუში (გაგრძელებებით რომ დაიბეჭდა) კვლავ გადმოაფრქვია ღვარძლი ბატონი გიორგის წინააღმდეგ...

მაგრამ ისტორიამ ეს „კამათი“ უკვე გადაწყვიტა და ისღა შემიძლია ვთქვა, რომ ბატონმა გიორგიმ იცხოვრა ისე, როგორც დაისახა მიზნად – ემსახურა საკუთარ ხალხს და ქედმოუხრელი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჩემს მოგონებებს იმით დავასრულებ, რითაც დავიწყე – ბედნიერია ის ადამი-ანი, ვისაც ბატონ გიორგისთან ურთიერთობის საშუალება ჰქონდა. ამიტომ ვართ ბედნიერნი მე და ჩემი კოლეგები.

ბედნიერია ის ქვეყანა, რომელსაც ბატონი გიორგისნაირი შვილები ჰყავს.

Resume

Inga Lordkipanidze
George Chubinashvili – as I Remember Him

The article tells about G. Chubinashvili's relations with his young colleagues and disciples, about the style of work established by him at the Institute of History of Georgian Art, characterizes his personal qualities, provides materials, showing how G. Chubinashvili was oppressed by the Soviet officials.